ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

unicef
for every child

მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

unicef
for every child

სახელმძღვანელო მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ პროექტის ,,მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება ბავშვებისათვის“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით და ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ,,მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში.

PHR
PARTNERSHIP FOR HUMAN RIGHTS

@ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018 წელი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი არ ასახავს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები

სამოქალაქო განათლების დამხმარე
სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

სარჩევი

როგორ გამოვიყენოთ წიგნი 6

პირველი გაკვეთილი – ბავშვის ძირითადი უფლებები 7

ფაზა A – პროვოცირება 9
ფაზა B – წვდომა 10
ფაზა C – რეფლექსია 15
შემაჯამებელი დავალება 15
საკითხავი მასალა თემაზე „ბავშვის ძირითადი უფლებები“ 16

მეორე გაკვეთილი – ძალადობა ბავშვის მიმართ 19

ფაზა A – პროვოცირება 20
ფაზა B – წვდომა 20
ფაზა C – რეფლექსია 22
შემაჯამებელი დავალება 22
საკითხავი მასალა თემაზე: „ძალადობა ბავშვის მიმართ“ 23

მესამე გაკვეთილი – ბავშვის უფლებები პოლიციასთან ურთიერთობისას 27

ფაზა A– პროვოცირება 28
ფაზა B – წვდომა 28
ფაზა C – რეფლექსია 33
შემაჯამებელი დავალება 36
საკითხავი მასალა თემაზე „ბავშვთა უფლებები პოლიციასთან ურთიერთობისას“ 36

მეოთხე გაკვეთილი – დანაშაული და საგამოძიებო მოქმედებები 41

შემაჯამებელი დავალება 44
საკითხავი მასალა მასწავლებლისთვის თემაზე „დანაშაული და საგამოძიებო მოქმედებები“ 45

მეხუთე გაკვეთილი – მიმართვის უფლება ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს 55

ფაზა A – პროვოცირება 56
ფაზა B – წვდომა 56
ფაზა C – რეფლექსია 57
შემაჯამებელი დავალება 57
საკითხავი მასალა თემაზე „მიმართვის უფლება ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს“ 58

როგორ გამოვიყენოთ წიგნი

წიგნი განკუთვნილია სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის და მოიცავს ხუთ თემას, რომელიც გაშლილია ხუთ გაკვეთილში. ყველა გაკვეთილი დაწვრილებითი სცენარის სახით არის წარმოდგენილი. თითოეულ თემას ახლავს საკითხავი მასალა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს საკითხის ღრმად გაგებასა და გაკვეთილის დაგეგმვაში. მასალის სწავლებისთვის გამოყენებულია ინტერაქტიული მეთოდი. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი დავალებების ტექსტი მოცემულია მოსწავლის წიგნში. დავალებებს ორმაგი ნუმერაცია აქვს. პირველი აღნიშნავს თემის ნომერს, მეორე კი – დავალების ნომერს თემის შიგნით. სწორი პასუხები და მათი ახსნა-განმარტებები წინამდებარე პუბლიკაციაშია მოცემული. ზოგჯერ არ არსებობს ცალსახად სწორი პასუხი. ასეთი სავარჯიშო ითხოვს მოსწავლისაგან ლოგიკურ აზროვნებასა და საკუთარი პოზიციის დასაბუთებას. მოსწავლეთათვის შესაძლო უცნობი სიტყვების განმარტებები მოსწავლის წიგნში მოცემულია მინდორზე. გაკვეთილის მომზადებისას მასწავლებელი ორივე წიგნს უნდა გაეცნოს.

თავი 1

ბავშვის ძირითადი უფლებები

გაკვეთილზე მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება, გაეცნონ ბავშვის უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებს და ნახონ, თუ როგორაა ასახული ისინი საქართველოს კანონმდებლობაში.

მიზანი

მოსწავლეთა მიერ ბავშვის ძირითადი უფლებების დანახვა ბავშვის უფლებათა კონვენციის და საქართველოს კანონმდებლობის ჭრილში.

მოსალოდნელი შედეგები

ცოდნა: მოსწავლეებს ეცოდინებათ ბავშვის ძირითადი უფლებები და ის, თუ რომელ სამართლებრივ დოკუმენტებს ეფუძნება ისინი.

უნარ-ჩვევები: მოსწავლეებს განუვითარდებათ ანალიზის უნარი.

დამოკიდებულება: ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულება ბავშვის უფლებების დაცვის მიმართ.

ფაზა A — პროვოცირება

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ პირველ და მეორე სურათს და გასცენ პასუხი კითხვაზე:

– ვის ვხედავთ ამ სურათებზე?

სავარაუდო პასუხები იქნება:

– პირველზე ვხედავთ ქალსა და ბავშვს, ქალსა და პატარა გოგონას, დედა-შვილს (თუმცა, დანამდვილებით არ ვიცით).
– მეორე სურათზე ვხედავთ ქალსა და გოგოს, ორ სხვადასხვა ასაკის ქალს, ქალსა და ბავშვს.

კითხვები:

– რომელ სურათზე შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ვხედავთ ბავშვს?
– ვის შეიძლება ვუწოდოთ ბავშვი?

მასწავლებელი განმარტავს, რომ საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, ბავშვი 18 წლამდე ასაკის ადამიანია. ბავშვის უფლებების კონვენციაში სწორედ ამ ასაკის ადამიანებზეა საუბარი.

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. რა იცით ბავშვის უფლებების კონვენციის შესახებ?
2. იცნობთ თუ არა ადამიანის უფლებათა დოკუმენტებს?
3. როგორ ფიქრობთ, ადამიანის უფლებები ვრცელდება თუ არა ბავშვზე?

განმარტება კითხვასთან დაკავშირებით: ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტებში ბავშვის ასაკად მიჩნეულია 18 წელი, ან არ არის ასაკი მინიშნებული და გამოიყენება გამოთქმა – „ყველა ადამიანი“, სადაც ბავშვიც მოიაზრება.

4. რატომ გახდა საჭირო ბავშვის უფლებათა კონვენციის[1] შექმნა?

სწორი პასუხი: რადგან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ.

ფაზა B – წვდომა

მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წელს მიიღეს. ეს არის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ბავშვის ყველა უფლება. კონვენციას მიუერთდა 194 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება[2]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, დაიცვას ბავშვის უფლებათა კონვენციაში აღწერილი ყველა უფლება. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არ არის მიერთებული ბავშვის უფლებათა კონვენციას, არის ამერიკის შეერთებული შტატები, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იქ არ იცავენ ბავშვის უფლებებს.

შემდეგი დავალების მიზანია, მოსწავლეები დაფიქრდნენ, თუ რა უფლებები შეიძლება ჰქონდეს ბავშვს. მოსწავლეებს, როგორც წესი, უკვე აქვთ გარკვეული წარმოდგენა (შესაძლოა, არასრული ან მცდარიც კი) ამ საკითხებზე. ისინი ტექსტის გაცნობისას დაფიქრდებიან ბავშვის უფლებებზე და დისკუსიის შემდეგ სწორი წარმოდგენა შეექმნებათ ბავშვის უფლებებზე.

მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად. მასწავლებელი უნაწილებს ჯგუფებს სამუშაო ტექსტებს. 5 წუთის განმავლობაში თითოეული ჯგუფი ამუშავებს თითო ტექსტს. შემდეგ ჯგუფის წარმომადგენელი კითხულობს ტექსტს ხმამაღლა და აცნობს კლასს ჯგუფის მიერ მომზადებულ პასუხს. იმართება დისკუსია.

რას უნდა მიაქციოს მასწავლებელმა ყურადღება თითოეული ტექსტის ირგვლივ დისკუსიის დასრულებისთანავე?

1 კონვენცია (conventio ლათინურად "შეთანხმება", "ხელშეკრულება"), სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

2. რატიფიცირება - პროცესი, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო ადასტურებს მთავრობის მიერ შეთანხმების ხელმოწერას; ოფიციალური პროცედურა, რომლითაც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება შეთანხმების შესრულებაზე მასთან მიერთების შემდეგ.

ა) **თანასწორობა ვერ** იქნა უზრუნველყოფილი. სკოლის შენობის მახასიათებლებმა გამოიწვია ეტლით მოსარგებლე ბავშვების დისკრიმინაცია[3]. ანუ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად[4], კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას, მიუხედავად ბავშვის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებებისა. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მის ღირსებას, განუმტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა (თანასწორობის მოთხოვნა) კონვენციის ოთხი ძირითადი პრინციპიდან ერთ-ერთი უმთავრესია. დანარჩენი პრინციპებია: სიცოცხლისა და განვითარების უფლება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და ბავშვთა მონაწილეობა.

ბ) ამ შემთხვევაში სკოლამ ფერადკანიანი მოსწავლის უფლებები ორჯერ დაარღვია: ერთხელ არ მიიღო, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, სინამდვილეში კი მიზეზი კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაცია იყო. **თანასწორობის** უფლების დარღვევამ გამოიწვია **სწავლის უფლების** დარღვევაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეთრკანიანი უცხოელი მოსწავლის მიმართ სკოლა სწორად მოიქცა[5].

გ) წყლის გაყვანის შემდეგ ბავშვებს საშუალება მიეცათ ჰქონდათ სუფთა სასმელი წყალი; დაეცვათ ჰიგიენის ნორმები; ჰქონოდათ სუფთა გარემო. ოჯახური მეურნეობის და სასკოლო ბაღების განვითარებას ხელი შეუწყო სარწყავი წყლის გაყვანამ. მოვიდა მოსავალი და ბავშვებს გაუჩნდათ საკვები. სუფთა წყლისა და საკვების არსებობა ბავშვის ფიზიკური, გონებრივი განვითარებისა და ჯანმრთელობის წინაპირობაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვებს შეექმნათ **ცხოვრებისთვის ადეკვატური პირობები.** ცხოვრებისთვის ადეკვატური პირობების არსებობის უფლება ძირითადად მოიცავს უფლებას სუფთა წყალზე, უსაფრთხო საცხოვრისზე, ჯანდაცვაზე, ტანსაცმელსა და საკვებზე, ჰიგიენის ნორმებს, ძუძუთი კვების ხელშეწყობისა და სხვა პრევენციული მოქმედებების განხორციელების უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებისთვის გარემოს დაბინძურების, ბავშვთა სიკვდილიანობის და დამაზიანებელი ტრადიციების თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას. სასმელი წყლის გაყვანის შემდეგ ისინი გათავისუფლდნენ მძიმე შრო-

3 დისკრიმინაცია (ლათ. Discriminatio — განსხვავება) — ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, უსამართლო მოპყრობას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ. კერძოდ, დისკრიმინაცია შეიძლება იყოს რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და ა.შ. http://lit.ge/book/188013-saocreba-r-j-palacio/

4 იხ. ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2.1 და მუხლი 23.1.

5 ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28. 1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას.

მისგან და საშუალება გაუჩნდათ, ევლოთ სკოლაში. ანუ შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ მშობლებს ან ოჯახის წევრებს უკეთ ეზრუნათ ბავშვის განვითარებისთვის. სიცოცხლის და განვითარების უფლება კონვენციის ოთხი პრინციპიდან ერთ-ერთია.

დ) გიორგიმ გამოხატა თავისი აზრი. მას აქვს აზრის და შეხედულების **გამოხატვის უფლება.** მას აქვს უფლება მოუსმინონ. ეს უფლება დაარღვია ქიმიის მასწავლებელმა. სამაგიეროდ, დაიცვა სკოლის დირექტორის მოადგილემ და მიასწავლა, ვისთვის უნდა მიემართა. ასევე მოუსმინა კათედრის გამგემ და აუხსნა, როგორ ხდებოდა სახელმძღვანელოს შერჩევა სკოლის მიერ. გიორგის არა მხოლოდ აზრის გამოხატვის უფლება აქვს, არამედ ინფორმაციის მიღებისაც (გარდა პერსონალური მონაცემებისა[6]). მან მიიღო დასაბუთებული ინფორმაცია კათედრის გამგისგან. მას შეუძლია, ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად გამოიყენოს მისთვის სასურველი წიგნიც.

მასწავლებელს შეუძლია დასვას დამატებითი კითხვა:

– ნიშნავს თუ არა გამოხატვის უფლება იმას, რომ ბავშვს შეუძლია თქვას, რაც უნდა და როგორც უნდა?

აუცილებელია, ბავშვებს განემარტოთ, რომ გამოხატვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. ის შეიძლება შეიზღუდოს ყველა ადამიანთან მიმართებით გარკვეულ შემთხვევებში:

1. სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისთვის (არ განაცხადოს ან გამოაქვეყნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შელახავს სხვის უფლებებსა და ღირსებას);

2. სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის (არ გასცეს საიდუმლო, რომლის გაცემაც საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს, არ მოუწოდოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისაკენ);

3. მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობის დასაცავად (მაგ. ასაკობრივი შეზღუდვები ზოგიერთ ფილმზე ან გადაცემაზე).

ბავშვების შემთხვევაში შეიძლება დაემატოს შეზღუდვები, რომელთა მიზანია ბავშვების დაცვა ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანისგან. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, იზრუნოს ბავშვების ინტელექტუალურ და ემოციურ განვითარებაზე. ხელი შეუწყოს სათანადო ლიტერატურის გამოცემას, გადაცემებისა და პროგრამების მომზადებას ბავშვისთვის გასაგებ ენაზე. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკურ უმცირესობათა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებებიც.

6 პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ ადამიანს. მაგალითად, ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ნასამართლეობის შესახებ და სხვა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლება-პრინციპს წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა. (იხ. გვ. 16)

ამ პრინციპის განსახილველად მოსწავლეებს ეძლევათ რამდენიმე მაგალითი დავალებაში 1.2.

დავალების მიცემამდე მასწავლებელი სვამს კითხვას:

სკოლა ბევრ გადაწყვეტილებას ღებულობს მოსწავლეების თაობაზე. არის თუ არა სკოლაში მოსწავლის მონაწილეობის უფლება დაცული და რა ფორმით ხორციელდება ის? ის იღებს ყველა პასუხს და შემდეგ სთავაზობს დავალება 1.2-ის შესრულებას (შესრულებისთვის 5 წთ.).

დავალება 1.2-ს მოსწავლეები ასრულებენ ჯგუფებში და განხილვის შემდეგ ეცნობიან ბავშვის საუკეთესო ინტერესის უფლება-პრინციპს.

ამ დავალების განხილვისას მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგს:

ა) მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობა სკოლაში და მისი წარმომადგენლის ყოფნა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში განაპირობებს მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლის მართვაში.

ბ) დისციპლინარული კომიტეტის შემადგენლობაში მოსწავლეთა ყოფნა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვას. მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსწავლეთა მიერ **აზრის გამოხატვის უფლების** უზრუნველყოფას.

გ) გასინჯვის წესები გულისხმობს მოსწავლის **ღირსებისა და პატივის დაცვის** უზრუნველყოფას.

დ) ამ სიტუაციის განხილვისას შეიძლება ბევრი რამ ითქვას. მასწავლებელი უნდა შეეცადოს მოსწავლეთა ყურადღება მიაქციოს იმ შემთხვევებს, რომლებიც არ დააზიანებენ ბავშვს და წინ წამოწევენ ბავშვის უფლებებს უფროსების უფლებებთან შედარებით.

ყველა ამ შემთხვევის განხილვის შეჯამებით მასწავლებელი გაიყვანს მოსწავლეებს ბავშვის საუკეთესო ინტერესზე.

სასურველია, გაკვეთილის მიმდინარეობისას, დაფაზე, ეტაპობრივად, დავალებებში მოცემული შემთხვევების განხილვის კვალდაკვალ, გაჩნდეს ჩანაწერი:

თანასწორობა/ დისკრიმინაციის დაუშვებლობა	სიცოცხლისა და განვითარების უფლება	ბავშვის საუკეთესო ინტერესი
შშმ პირთა უფლება; განათლების მიღების უფლება.	განათლების მიღების უფლება; მძიმე შრომისგან თავის დაღწევის უფლება; საკმარისი ყუათიანი სურსათითა და სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფის უფლება.	ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებისას; დაცულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებები; ბავშვთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ მოაქვს არანაირი ზიანი მისთვის; უპირველესად მხედველობაში მიიღება და უპირატესობა ენიჭება ბავშვის უფლებას უფროსების უფლებასთან შედარებით.

კონვენციასთან მიერთება გულისხმობს მასში აღწერილი უფლებების დაცვას. ანუ, უპირველესად, ისეთი ეროვნული კანონმდებლობის შექმნას, რომელიც შეესაბამება კონვენციას და მასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, ტარდება რიგი სხვადასხვა ღონისძიებისა: იქმნება სამთავრობო სტრუქტურები, უმჯობესდება კოორდინირება სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის; დგება ყოვლისმომცველი და კონვენციაზე დაფუძნებული ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბავშვის უფლებების შესახებ; მიმდინარეობს კანონების, ბიუჯეტის და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მუდმივი ანალიზი ამ დოკუმენტებში ბავშვთა ინტერესების გათვალისწინების კუთხით; ტარდება კონვენციაში მოცემული დებულებების დაცვისა და მისი იმპლემენტაციის მონიტორინგი არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ოფისისა და მედიის მიერ; ხდება ბავშვების შესახებ რეალური მონაცემების შეგროვება და ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა ბავშვთა მდგომარეობის რეალური სურათის დასადგენად; მუდმივად მიმდინარეობს იმ პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებიც ბავშვებთან ან მათთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ და მოსახლეობის ინფორმირება ბავშვთა უფლებების შესახებ.

ფაზა C – რეფლექსია

მოსწავლეებს ადგილზე შესასრულებლად ეძლევათ დავალება 1.3, რომელიც მისცემს მათ საშუალებას გაიაზრონ ბავშვის ძირითადი უფლებები და დაინახონ, როგორაა ისინი ასახული ქართულ კანონმდებლობაში. (შესრულებისთვის 7 წთ.).

ქვემოთ მოცემულია დავალება 1.3-ის სწორი პასუხები. რიცხვები აღნიშნავს ამოსარჩევი პასუხის ნომრებს.

უფლება	ბავშვთა უფლებების კონვენციის დებულება	დებულება საქართველოს კანონმდებლობიდან
დისკრიმინაციის დაუშვებლობა	1	3
ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა	4	2
გამოხატვის უფლება	5	7

შემაჯამებელი დავალება

ქვემოთ მოყვანილია შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეა შერჩეულ იქნეს მოსწავლეებთან ერთად. ბავშვებმა უნდა დაინახონ პრობლემა მათ გარშემო და ამის მიხედვით შეარჩიონ პროექტის თემა. აუცილებელი არ არის საპროექტო თემის სათაური იმეორებდეს ჩამონათვალში მოცემულ სათაურს. შესაძლებელია, რომ პროექტის თემა უფრო კონკრეტული იყოს. მაგალითად, პროექტი – სკოლაში (დაბალ კლასელთა შორის) ცნობიერების ამაღლება დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ.

შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი:

1. პროექტი – სკოლაში (დაბალ კლასელთა შორის) ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების შესახებ (წინასწარ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, პრობლემის არსებობის შემთხვევაში).

2. პროექტი – თემში ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების შესახებ (წინასწარ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, პრობლემის არსებობის შემთხვევაში).

საკითხავი მასალა თემაზე „ბავშვის ძირითადი უფლებები“

ბავშვის უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. ბავშვის უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება მე-20 საუკუნეში მიაქციეს, როცა კაცობრიობა მივიდა დასკვნამდე, რომ საზოგადოებაში არსებობენ ადამიანთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვასა და სათანადო ყურადღებას საჭიროებენ. სწორედ ამ პერიოდისთვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო მუშაობა სპეციალურ საერთაშორისო დოკუმენტზე, რომელსაც ბავშვის

უფლებათა კონვენცია ეწოდა და მასში აღწერილია ბავშვთა საჭიროებები და მათი ფუნდამენტური უფლებები.

კონვენციის მიღება ისტორიული მოვლენა იყო ბავშვთა დაცვის სფეროში, რადგან ის ყველაზე უნივერსალური დოკუმენტია. სხვა კონვენციებისგან განსხვავებით, ბავშვის უფლებათა კონვენცია, აღწერს და უზრუნველყოფს ბავშვის, როგორც ადამიანის აბსოლუტურად ყველა უფლებას ერთად. კონვენცია ბავშვს აღიქვამს, როგორც უფლების მატარებელ დამოუკიდებელ სუბიექტს. ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულება სავალდებულოა საქართველოს სახელმწიფოსთვისაც მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა.

კონვენციის მიზნებისთვის ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი სანამ მიაღწევს 18 წლის ასაკს, თუ რომელიმე ქვეყნის კანონით, ბავშვი სრულწლოვანებას არ აღწევს უფრო ადრეულ ასაკში.

კონვენციით განსაზღვრული ზოგიერთი უფლება მნიშვნელობით იმდენად განსხვავდება სხვა უფლებებისაგან, რომ არა მხოლოდ კონკრეტულ უფლებას წარმოადგენს, არამედ გამოიყენება სხვა უფლებების განხორციელების და განმარტების დროს. ეს **არის უფლება-პრინციპი.** შეუძლებელია ვისაუბროთ სხვა რომელიმე უფლების ეფექტიან დაცვაზე თუ, ამავდროულად, უფლება-პრინციპები არ არის დაცული. მაგალითად, ვერ იქნება ბავშვის განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის უფლება დაცული, თუ მის მიმართ დისკრიმინაცია ხორციელდება. **დისკრიმინაციის დაუშვებლობა** კი უფლება-პრინციპია. ასევე უფლება პრინციპებია: **სიცოცხლისა და განვითარების უფლება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და ბავშვთა მონაწილეობა.**

ბავშვის ნებისმიერი უფლების დაცვა გამომდინარეობს **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** უზრუნველყოფიდან. ბავშვის საუკეთესო ინტერესის დასაცავად ყველა კონკრეტული შემთხვევა ცალკე უნდა იქნეს განხილული. ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა ნიშნავს ყველა იმ ელემენტის შეფასებასა და ბალანსს, რომლებიც აუცილებელია კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვთან ან ბავშვების ჯგუფთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. იმის გამო, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დასადგენად მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი, დადგენაში სხვადასხვა პროფესიის ან სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლები მონაწილეობენ. ისინი გადაწყვეტილებას იღებენ ბავშვის პერსპექტივის და ბავშვის აზრის გათვალისწინებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განმარტებულია, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები რთული ცნებაა, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგს:

1. დაცული უნდა იყოს კონვენციით გათვალისიწინებული ბავშვის უფლება – ეს ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება ან მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, ვერ ჩაითვლება ბავშვის საუკეთესო ინტერესად. მაგალითად, ბავშვის უფლებათა კონვენცია კრძალავს ბავშვის მიმართ ძალადობას და დისკრიმინაციას. ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ გვსურს, რომ ის შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, არ უნდა არღვევდეს ბავშვის თანასწორობის უფლებას და არ უნდა უშვებდეს ძალადობისა და სხვა ტიპის საფრთხის საშიშროებას ბავშვის მიმართ.

2. მეორე აუცილებელი პირობა ბავშვის აზრის გათვალისწინებაა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მისი ასაკისა და მოწიფებულობის შესაბამისად. ეს ნიშნავს იმას, რომ, ნებისმიერი პირი თუ ორგანიზაცია, გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ისმენდეს და ითვალისწინებდეს ბავშვის აზრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისი. ამიტომ, ბავშვის მონაწილეობა პროცესებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა.

3. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ბავშვთან დაკავშირებით ან კავშირი აქვს ბავშვთან, არ უნდა აზიანებდეს მას – ეს ნიშნავს, რომ საუკეთესო ინტერესის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის გადაწყვეტილებები თუ სხვაგვარი მოქმედებები ბავშვისთვის მხოლოდ სარგებლის მომტანი უნდა იყოს. აქ შეიძლება ცალკე იქნას განხილული უახლოეს პერიოდში ბავშვისთვის სიკეთის და სარგებლის მომტანი გადაწყვეტილებები და უფრო მოგვიანებით, მომავალში გარანტირებული სარგებელი.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი ასპექტებია:

- ბავშვის შეხედულებები და მისწრაფებები;
- ბავშვის პიროვნება, ასაკი, სქესი, პირადი ისტორია;
- ბავშვის მოვლა, დაცვა და უსაფრთხოება;
- ბავშვის კეთილდღეობა;
- ოჯახური გარემო, ოჯახური ურთიერთობები და კონტაქტები;
- სოციალური კონტაქტები;
- მოწყვლადობის მდგომარეობა, ანუ ბავშვის წინაშე მდგარი რისკები, დაცვის, მდგრადობის და გაძლიერების წყაროები;
- ბავშვის უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება;

- ჯანმრთელობისა და განათლების სფეროში უფლებები და საჭიროებები;

- ბავშვის განვითარება და მისი თანდათანობით გადასვლა სრულწლოვან და დამოუკიდეებელ ცხოვრებაში;

- ბავშვის ნებისმიერი სხვა სპეციალური საჭიროება.

საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება გულისხმობს, რომ ბავშვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფო ორგანოებისა თუ ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა პირების მიერ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

მონაწილეობის უფლება-პრინციპი გულისხმობს ბავშვის მონაწილეობას მის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გაკვეთილი 2

ბავშვის ძირითადი უფლებები

მიზანი

მოსწავლეთათვის ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მექანიზმების გაცნობა.

მოსალოდნელი შედეგები

ცოდნა: მოსწავლეები გაეცნობიან ძალადობის ფორმებს და მის აღკვეთაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების ფუნქციებს.

უნარ-ჩვევები: ხელი შეეწყობა ძალადობაზე რეაგირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

დამოკიდებულებები: ხელი შეეწყობა ძალადობის მიმართ გულგრილობის აღმოფხვრას.

ფაზა A — პროვოცირება

მოსწავლეთათვის თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ. მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს. წერს დაფაზე სიტყვას „ძალადობა“ და სთხოვს მოსწავლეებს, თქვან, რა ასოციაციას იწვევს მათში ეს სიტყვა. ყველა პასუხი მისაღებია და იწერება დაფაზე სიტყვა „ძალადობის“ ირგვლივ.

ფაზა B — წვდომა

მასწავლებელი ცდილობს დააჯგუფოს სიტყვები ძალადობის ფორმების მიხედვით. თუ დაფაზე შესრულებული ჩანაწერი მწირია, მასწავლებელსაც შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ჩანაწერის შევსებაში. დაჯგუფებისთვის მასწავლებელს შეუძლია დასვას დამატებითი კითხვები. გზადაგზა განმარტოს თითოეული ფორმა. ძალადობის ფორმების განხილვისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღნიშნონ კონკრეტულად რომელი უფლებები ირღვევა.

ფიზიკური ძალადობის განხილვისას მასწავლებელმა უნდა განმარტოს, რომ ეს არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქოლოგიური ძალადობის განხილვისას უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ ძალადობის ამგვარი ფორმა არასრულწლოვანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს. (იხ. გვ. 23)

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია იცავს ბავშვებს ძალადობისგან და აცნობს მე-19 მუხლის შინაარსს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად[7], კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის უფლებას გათვალისწინებულს კონვენციით, მიუხედავად ბავშვის რასის, კანის ფერის, სქე-

7 იხ. ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2.1 და მუხლი 23.1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

სის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ან/და რაიმე სხვა გარემოებებისა. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მისი ღირსების დაცვას, ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვაში და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში.

მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ კონვენციის თანახმად ძალადობად ითვლება ბავშვისთვის მზრუნველობის მოკლებაც და მისი უგულებელყოფაც.

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ვინ შეიძლება იყოს ბავშვის მიმართ მოძალადე? (ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ბავშვთან შეხება აქვს).

- ვინ არის ვალდებული დაიცვას ბავშვი ძალადობისგან? (სახელმწიფო, ნებისმიერი დაწესებულება და პირი, რომელსაც აქვს ბავშვთან შეხება).

- რას ნიშნავს, რომ სახელმწიფო იცავს ბავშვს ძალადობისგან? (სახელმწიფო გამოსცემს შესაბამის კანონებს. აწესებს სხვადასხვა დაწესებულების (რომელსაც ეს ეხება) თანამშრომლებისთვის წესებს, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცნენ ისინი ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად ან ძალადობის შემთხვევაში).

იმ დაწესებულებების ვალდებულებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ბავშვის დაცვაზე ძალადობისგან, აღწერილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილებაში №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე[8]. საკითხავ მასალაში (გვ. 24) მოცემულია პოლიციის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სკოლის და სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისას.

ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მიმართულებით ამ დაწესებულების ფუნქციების გაცნობის მიზნით მოსწავლეების მიერ სრულდება ჯგუფებში დავალება 2.1. (შესრულებისთვის 7-8 წთ.). დავალების მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ თითოეული ფუნქცია. მიმდევრობა, რომლის მიხედვით უნდა დაალაგონ მოსწავლეებმა ქმედებები, მკაცრად განსაზღვრუ-

8 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478

ლი არ არის. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მოქმედებათა მიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს. მოსწავლეებისგან მოითხოვება ლოგიკური მსჯელობა და აზრის დასაბუთება.

24-ე გვერდზე მოცემულია თანმიმდევრობის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი.

ფაზა C – რეფლექსია

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ბავშვს, რომლის მიმართ მოხდა ძალადობა, შეუძლია მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, პოლიციას ან სხვა დაწესებულებებს.

მოსწავლის წიგნში (გვ. 23) მოცემულია იმ დაწესებულებათა ტელეფონის ნომრები, ვისაც შეუძლიათ მიმართონ საჭიროების შემთხვევაში.

შესასრულებლად ეძლევათ დავალება 2.2. (შესრულებისთვის 5-6 წთ.). დავალების მიზანია მოსწავლეებმა გაითავისონ აზრი, რომ ბავშვზე ძალადობის აღკვეთის ვალდებულება თითოეული მოქალაქის ვალია. გეოგრაფიული მდებარეობა სავარჯიშოში მოცემულია იმისათვის, რომ ბავშვი მიხვდეს მოსწავლის წიგნში 23-ე გვერდზე მოცემული სიის აზრს და დახმარებისთვის, მიმართოს სიაში მოცემულ რომელიმე ორგანიზაციას. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომ ოჯახის საქმეში ჩარევა არ შეიძლება, უნდა დაუპირისპირდეს ბავშვის ძალადობისგან დაცვის იდეა. თუ მოსწავლეები ვერ მიხვდნენ, რომ სია უნდა გამოიყენონ, მასწავლებელმა უნდა მიუთითოს და აუხსნას.

დასასრულს ხდება დავალების განხილვა, დისკუსია და შეჯამება.

შემაჯამებელი დავალება

ქვემოთ მოყვანილია შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეა შერჩეულ იქნეს მოსწავლეებთან ერთად. ბავშვებმა უნდა დაინახონ პრობლემა მათ გარშემო და ამის მიხედვით შეარჩიონ პროექტის თემა. აუცილებელი არ არის საპროექტო თემის სათაური იმეორებდეს ჩამონათვალში მოცემულ სათაურს. შესაძლებელია, რომ პროექტის თემა უფრო კონკრეტული იყოს. მაგალითად, პროექტი – თანატოლებში ცნობიერების ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური სამსახურის როლის შესახებ.

შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი:

1. საქველმოქმედო პროექტი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დასახმარებლად;

2. პროექტი – თანატოლებში ცნობიერების ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში მოქმედების შესახებ;

3. პროექტი – კვლევა: სხვადასხვა ორგანიზაციის როლი და პრაქტიკული გამოცდილება

(რეფერირების დოკუმენტის და ორგანიზაციებთან უშუალო თანამშრომლობის მიხედვით) ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში.

საკითხავი მასალა თემაზე: „ძალადობა ბავშვის მიმართ“

ძალადობის ფორმებია:

ფიზიკური ძალადობა – არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემით, წამებით, ჯანმრთელობის დაზიანებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით.

ფსიქოლოგიური ძალადობა – გულისხმობს შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, მუქარას, რომელიც იწვევს არასრულწლოვანის პატივისა და ღირსების შელახვას ან მის დაშინებას.

იძულება – იძულებას ადგილი ექნება მაშინ, თუ არასრულწლოვანს აიძულებენ შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, რომელიც მის უფლებას წარმოადგენს. მაგალითად, იძულება შეიძლება იყოს იძულებითი ქორწინება, შრომით საქმიანობაში იძულებით ჩართვა. ამ დროს არასრულწლოვანს ეზღუდება მთელი რიგი უფლებები, მაგალითად განათლების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სხვა ფუნდამენტური უფლებები.

სექსუალური ძალადობაა – სქესობრივი კავშირი ძალადობით ან მუქარით და 16 წლამდე ბავშვთან, სრულწლოვანის მიერ სექსუალური კავშირის დამყარება, თუნდაც ძალადობის გარეშე. სექსუალური ძალადობაა ასევე ნებისმიერი სხვაგვარი მისი ნების საწინააღმდეგო სექსუალური ხასიათის მოქმედება.

ეკონომიკური ძალადობა – ესაა ვითარება, როცა არასრულწლოვანს განზრახ უზღუდავენ საკვებს, საცხოვრებელ ადგილს ან/და მისი განვითარებისათვის საჭირო სხვა პირობებს.

უგულებელყოფა – არის არასრულწლოვნის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების მიერ. მაგალითად, არასრულწლოვანს არ ეძლევა განათლების მიღების უფლება, სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება და სხვა. ხოლო მშობელს ან ოჯახის სხვა წევრს შეუძლია ამგვარი დახმარების მიწოდება და საჭიროების დაკმაყოფილება. უბრალოდ, ის არ აქცევს ყურადღებას ბავშვის ამ უფლებებს.

არასრულწლოვნის მიმართ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ტრეფიკინგს, რაც გულისხმობს არასრულწლოვანის ყიდვას ან გაყიდვას, მის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას ვინმესთვის მისი ექსპლუატაციის მიზნით.

საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ **„ექსპლუატაციას“** განმარტავს, როგორც დამნაშავის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით, შრომის ან მომსახურების, სექსუალური მომ-

სახურების გაწევის იძულებას; პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმას; ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღებას, გადანერგვას ან სხვაგვარად გამოყენებას; ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას.

სკოლებში ძალადობის გავრცელებული ფორმაა **ბულინგი.** ტერმინი „ბულინგი“ ნიშნავს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც ხორციელდება ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა ჯგუფის მიერ. ბულინგის სამი ტიპი არსებობს: ემოციური, სიტყვიერი და ფიზიკური. ბულინგის დამახასიათებელი ქცევებია: დამამცირებელი ზედმეტი სახელების დარქმევა, დაცინვა, ჯგუფიდან ან საერთო საქმიანობიდან გარიყვა, უცენზურო სიტყვებით მიმართვა, ნივთების წართმევა, წერილობითი და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა, დაშინება, ხელის კვრა, მუშტებით ან ფეხით ცემა, ცილისწამება, „მსხვერპლის“ უხერხულ, არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაგდება, იძულება – იმოქმედოს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

სხვადასხვა დაწესებულების ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის განხორციელების შემთხვევაში პოლიციის ვალდებულება ბავშვზე ძალადობის განხორციელების დროს პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ იმოქმედოს, რათა დაეხმაროს ბავშვს და დაიცვას ის მომხდარი ან მოსალოდნელი ძალადობისგან. კერძოდ:

- ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ადგილზე და გაეცნოს იქ მყოფ პირებს;
- შეისწავლოს და შეაფასოს მდგომარეობა;
- გაესაუბროს ბავშვს, მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მეზობლებს და ნათესავებს;
- ძალადობის მსხვერპლ ბავშვს გაესაუბროს განცალკევებით;
- ძალადობის მსხვერპლ ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;
- თუ ბავშვს ძალადობის შედეგად ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში;
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დატოვება ოჯახში ეწინააღმდეგება მის უსაფრთხოებას და სოციალური მუშაკი მიიღებს გადაწყვეტილებას ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის შესახებ, უზრუნველყოფს ბავშვის გადაყვანას თავშესაფარში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში;
- ბავშვის მოძალადისგან განცალკევების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოსცემს შემაკავებელ ან დამცავ ორდერს.

დამცავი და შემაკავებელი ორდერები არის ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის დაცვის საშუალება, რომელიც გულისხმობს ბავშვის განცალკევებას მოძალადე მშობლისგან, კანონიერი წარმომადგენლისგან და ნებისმიერი სხვა მოძალადისგან. დამცავი ორდერი მოქმედებს 6 თვემდე ვადით, ხოლო შემაკავებელი – 1 თვემდე ვადით. დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს თავად არასრულწლოვანს.

არასრულწლოვნის განცალკევება ოჯახიდან არის უკიდურესი ზომა, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომა (მათ შორის, გასაუბრება და გაფრთხილება) შედეგიანი არ არის, ან აშკარაა, რომ ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვალდებულება ბავშვზე ძალადობის განხორციელების დროს

სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენს ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მთავარ დაწესებულებას ქვეყანაში. ბავშვზე განხორციელებული ძალადობის დროს ის ვალდებულია:

- გამოავლინოს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტები;
- შეაგროვოს ინფორმაცია ძალადობის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია მიიღოს ბავშვისგანაც;
- შეაფასოს ბავშვის მდგომარეობა და დაგეგმოს აუცილებელი ნაბიჯები;
- თუ ბავშვს ძალადობის შედეგად ესაჭიროება სამედიცინო დახმარების მიღება, ვალდებულია ბავშვი გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში;
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დატოვება ოჯახში, საფრთხეს შეუქმნის მის უსაფრთხოებას, მიიღოს ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის გადაწყვეტილება და პოლიციასთან ერთად გადაიყვანოს თავშესაფარში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში;
- თუ ძალადობის მსხვერპლ ბავშვს არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ეხმარება ბავშვს მის მიღებაში.

სკოლის ვალდებულება ბავშვზე ძალადობის განხორციელების დროს

მოსწავლის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს მასზე რეაგირება:

- სკოლაში გამოყოფილი უნდა იყოს პირი, რომელსაც მოსწავლემ შეიძლება მიმართოს ძალადობის შემთხვევაში;

- ადგილზე შემთხვევის გაანალიზება (სკოლის ადმინისტრაცია, მათ შორის მანდატურის სამსახური, სწავლობს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტს);

- საჭიროების შემთხვევაში (ძალადობის დადასტურების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში), პოლიციისა თუ სააგენტოს ინფორმირება;

- სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

სამედიცინო დაწესებულების (მათ შორის სოფლის ექიმის) ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის განხორციელების დროს

სამედიცინო დაწესებულებაში ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მოხვედრის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებაა:

- აღმოუჩინოს მას სამედიცინო დახმარება;

- დაარეგისტრიროს ბავშვი სარეგისტრაციო ჟურნალში;

- აცნობოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს ტელეფონით იმავე დღეს ან, თუ განთავსება მოხდა არასამუშაო საათებში, მომდევნო სამუშაო დღეს.

გაკვეთილი 3

ბავშვის უფლებები პოლიციასთან ურთიერთობისას

პოლიციის მოვალეობებში, ბავშვთა ძალადობისგან დაცვასთან ერთად, შედის ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც თავიდან აარიდებს საზოგადოებას, ან ცალკეულ პირს ძალადობას.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პოლიციას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიება: პირის გამოკითხვა, პირის იდენტიფიცირება, პირის მოწვევა, ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური საპოლიციო კონტროლი, ადგილის დატოვების მოთხოვნა და სხვა.

მიზანი

მოსწავლეების მიერ საკუთარი უფლებების გააზრება პოლიციასთან ურთიერთობისას.

მოსალოდნელი შედეგები

ცოდნა: მოსწავლეები გაეცნობიან საკუთარ უფლებებს პოლიციის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარებისას.

უნარ-ჩვევები: ხელი შეეწყობა საკუთარი უფლებების დაცვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას.

დამოკიდებულება: ხელი შეეწყობა კანონის პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას.

ფაზა A— პროვოცირება

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რა დაამახსოვრდათ წინა გაკვეთილიდან. ბავშვზე ძალადობისას პოლიციის მოვალეობების გახსენების შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ პოლიციის მოვალეობაა ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც თავიდან აარიდებს საზოგადოებას, ან ცალკეულ პირს ძალადობას. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემასა და მიზანს. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ბავშვთა უფლებები დაცული უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის პოლიციის მიერ პრევენციული და იძულებითი ღონისძიებების გატარებისას.

ფაზა B — წვდომა

მასწავლებელი ამბობს, რომ ერთ-ერთ პრევენციულ ღონისძიებას გამოკითხვა წარმოადგენს. გამოკითხვის დროს არასრულწლოვანისა და პოლიციელის უფლებათა გასაცნობად მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წაიკითხონ მოსწავლის წიგნიდან ტექსტი „გამოკითხვა“ და ჯგუფებში შეასრულოს დავალება 3.1. (შესრულებისთვის ეძლევათ 5 წთ.). პოლიციის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ[9].

9 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533

მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად და ინაწილებენ თითო დიალოგს.

ბავშვის უფლებები და პოლიციელის უფლებამოსილებანი გამოკითხვის დროს (იხილეთ გვ. 36)

ქვემოთ მოყვანილია დავალება 3.1 სწორი პასუხებით.

დავალება 3.1

პოლიციელმა გააჩერა არასრულწლოვანი. მონიშნეთ, თქვენი ვარაუდით, ის ქმედებები, რომლის უფლება აქვს პოლიციელს და არასრულწლოვანს. კლასთან ერთად პასუხების განხილვის შემდეგ, თითოეული შემთხვევისთვის ჩამოაყალიბეთ ბავშვის უფლებები.

I. ფორმიანმა პოლიციელმა გააჩერა არასრულწლოვანი დათო.

პოლიციელი: გამარჯობა, მითხარი შენი გვარი და სახელი (+ პოლიციელს შეუძლია გამოკითხოს ბავშვი და დაადგინოს მისი ვინაობა);

დათო: რაშია საქმე? რატომ მეკითხებით? (+არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რას ემსახურება მისი გამოკითხვა);

პოლიციელი: არ არის ეგ ბავშვის საქმე (- არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რას ემსახურება მისი გამოკითხვა);

დათო: მე არ გიპასუხებთ!(+ გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია).

II. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი აჩერებს ბავშვს.

კაცი: გამარჯობა, მე პოლიციელი ვარ. მითხარი შენი სახელი და გვარი! (+პოლიციელს შეუძლია გამოკითხოს ბავშვი და დაადგინოს მისი ვინაობა);

ბავშვი: თუ შეიძლება, თქვენი პირადობის მოწმობა მაჩვენეთ! (+ არასრულწლოვანს უფლება აქვს მოსთხოვოს დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, თუ გარეგნულად შეუძლებელია პოლიციელის იდენტიფიცირება);

კაცი: აი საბუთი, ინებე! (+)

ბავშვი იღებს საბუთს და კითხულობს.

პოლიციელი: რამდენი წლის ხარ? (+)

ბავშვი: 13-ის. (+)

პოლიციელი: ახლა მითხარი სახელი, გვარი და მისამართი. (- თუ არასრულწლოვანი არის 14 წლამდე, მისი გამოკითხვა შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით.)

ბავშვი: დედას დავურეკავ და როცა მოვა, მაშინ გეტყვით. (+ თუ არასრულწლოვანი არის 14 წლამდე, მისი გამოკითხვა შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით.)

III. ფორმიანმა პოლიციელმა გააჩერა 16 წლის მოზარდი.

პოლიციელი: გამარჯობა, მითხარი სახელი და გვარი! (+ პოლიციელს შეუძლია გამოკითხოს ბავშვი და დაადგინოს მისი ვინაობა);

მოზარდი: შეიძლება გავიგო რაშია საქმე? (+არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რას ემსახურება მისი გამოკითხვა);

პოლიციელი: ერთ ბიჭს ვეძებთ, რომელიც შენ გგავს. (+არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რას ემსახურება მისი გამოკითხვა);

მოზარდი: ლევან გიორგაძე. (+)

პოლიციელი: პირადობის დამადასტურებელი საბუთი გაქვს? (+)

მოზარდი: დიახ, ინებეთ! (+)

IV. ფორმიანმა პოლიციელმა გააჩერა ბავშვი.

პოლიციელი: გამარჯობა, პირადობის დამადასტურებელი საბუთი მაჩვენე! (+პოლიციელს შეუძლია გამოკითხოს ბავშვი და დაადგინოს მისი ვინაობა);

ბავშვი: ინებეთ! (+)

პოლიციელი: სად მუშაობენ შენი მშობლები? (-პოლიციელს შეუძლია გამოკითხოს ბავშვი და დაადგინოს მისი ვინაობა, მისამართი);

ბავშვი: დამიბრუნეთ პირადობის მოწმობა. მე უარს ვაცხადებ პასუხზე! (+ გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია).

თითოეული დავალების პასუხის მოსმენისას მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მათ უფლებებს და პოლიციის უფლებამოსილებას.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა ჩამოწეროს ორ დიდ ფურცელზე ბავშვის უფლებები და პოლიციის უფლებამოსილებანი, რათა ბავშვებმა შეძლონ მათი მთლიანობაში აღქმა.

პირის იდენტიფიცირებაც ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიებაა.

კითხვები:

– რას ნიშნავს პირის იდენტიფიცირება? (პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძლევა პირის მოკვლევისა და მისი სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას);

– რა ნიშნებით შეიძლება პირის იდენტიფიცირება? (თითის ანაბეჭდი, სიმაღლე, ხმა და სხვა).

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ როცა ვერ ხერხდება პირის ვინაობის დადგენა, პოლიციას აქვს უფლება ჩაატაროს რიგი ღონისძიებებისა. პირის იდენტიფიცირება ხდება პოლიციის განყოფილებაში. შესასრულებლად აძლევს დავალება 3.2-ს. (შესრულებისთვის 3-4 წთ.). აღნიშნული დავალების პასუხებია:

ა)

1. სურათის გადაღება;
2. თითებისა და ხელის გულის ანაბეჭდების აღება;
3. ხმის ჩაწერა.
4. სიმაღლის გაზომვა;
5. სხვა.

ბ)

- მიიღოს პოლიციელისგან ისეთი ვადა, რომლის განმავლობაშიც მოახერხებს პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენას.

- ბავშვმა არ მოაწეროს ხელი ოქმს, თუ ოქმში არის ჩანაწერი, რომელიც, ბავშვის აზრით, არ შეეფერება სინამდვილეს.

პირის მოწვევაც ერთ-ერთ პრევენციული ღონისძიებაა. მის გასაცნობად მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს „პირის მოწვევა“ და ასრულებენ დავალება 3.3-ს. (შესრულებისთვის 5 წთ.). ეს დავალება გულისხმობს მოწვევის წესების გაცნობას სურათებისა და მათ ქვეშ დასმული კითხვების საშუალებით.

სწორი პასუხებია:

– პირის პოლიციაში მიწვევა ხდება შეტყობინებით;
– არასრულწლოვანს მიწვევით გასაუბრებისას ახლავს მშობელი;
– თავიდან მიწვეულ პირს უნდა განემარტოს მიწვევის საფუძველი და რომ მიწვევაზე მისვლა და პოლიციის დატოვება ნებაყოფლობითია;
– არასრულწლოვანი პოლიციაში შეიძლება გაჩერდეს მაქსიმუმ 2 საათს;
– არასრულწლოვანს შეუძლია არ მოაწეროს ოქმზე ხელი, თუ არ ეთანხმება მასში გამოთქმულ რომელიმე მოსაზრებას.

ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება, აგრეთვე, პრევენციული ღონისძიებაა. შესაძლოა, პოლიციელმა განახორციელოს ქუჩაში ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს „ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება“ და ინდივიდუალურად ასრულებენ დავალება 3.4-ს (შესრულებისთვის 4-5 წთ.).

დავალების კითხვებზე პასუხების მიღებისას დაფაზე იწერება მხოლოდ სწორი პასუხები:

არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შემოწმება და დათვალიერება განახორციელოს იმავე სქესის პოლიციელმა;
- მიიღოს ინფორმაცია თუ როგორ და სად გაასაჩივროს ჩატარებული პროცედურები;
- უარი თქვას ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერების შესახებ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ ინფორმაციას.

ადმინისტრაციული დაკავება

მასწავლებელი აკეთებს მოკლე განმარტებას ადმინისტრაციული დაკავების შესახებ.

ადმინისტრაციული დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა, რომლის მიზანიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, პიროვნების დადგენა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა. დაკავება შეიძლება მოხდეს, თუ პოლიციელმა დაინახა არასრულწლოვანი წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის მომენტში ან არასრულწლოვანი არ დაემორჩილა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას.

კითხვა:

როგორ გესმით „წვრილმანი ხულიგნობა“?

მოსწავლეებს ეძლევათ ინდივიდუალური დავალება 3.5. (შესრულებისთვის 3 წთ.). დავალების მიზანია, მოსწავლეებმა, ბავშვთა უფლებებიდან და განხილული მასალიდან გამომდინარე, მოიფიქრონ, თუ რისი უფლება შეიძლება ჰქონდეს დაკავებულს და შემდეგ, გაეცნონ დაკავებულის უფლებებს.

ყველა განსხვავებული პასუხი მოკლედ იწერება დაფაზე და აღინიშნება შემდეგი უფლებები:

- მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ინფორმაცია ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების საფუძვლის შესახებ;
- მოითხოვოს ადვოკატთან დაუყოვნებლივ დაკავშირება;
- აუცილებლად დაუკავშირდეს მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს;
- უარი თქვას ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ ინფორმაციას.

ადმინისტრაციული დაკავება არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.

ფაზა C – რეფლექსია

ბოლო 5 წუთი დაეთმოს მოსწავლეებს დასაფიქრებლად და პასუხის გასაცემად კითხვებზე: რა ვისწავლე? რა მინდა ვისწავლო?

საშინაო დავალების მიცემა

საშინაო დავალების ახსნა მოითხოვს დროს. ამიტომ მიზანშეწონილია, მისი მიცემა გაკვეთილების შემდეგ. მასწავლებელი ანაწილებს როლებს სიტუაციისთვის „სპორტულ მაღაზიაში“ და არიგებს შესაბამის ტექსტებს იმ პირობით, რომ ეს ტექსტი მეორე გაკვეთილის დასრულებამდე არავის არ უნდა გააცნონ. ყველა მოსწავლე ინსცენირებისთვის დამოუკიდებლად ემზადება. გაკვეთილზე მოხდება სამი ეპიზოდის ინსცენირება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ კარგად გაიგოს თავისი როლი. ამიტომ მასწავლებელმა ყველას ცალ–ცალკე, პირისპირ უნდა აუხსნას ის. მათ უნდა განემარტოთ, რომ შეუძლიათ მოიქცნენ საკუთარი შეხედულების, გამოცდილების საფუძველზე. მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მიეთითოთ, რომ ტექსტი დაკვირვებით წაიკითხონ.

ქვემოთ მოყვანილი სცენების ჩამონათვალი მასწავლებელმა ერთიანად უნდა გადაიღოს, შემდეგ დაჭრას და დაურიგოს მოსწავლეებს.

სცენა 1. თედოსთან სახლში

თედო, დედა და კანონი წარმოადგენენ სიტუაციას შემდეგი ტექსტის შესაბამისად.

სცენა 1. თედოსთან სახლში

თედო

თედო მეორე დღეს დაიბარეს პროკურატურაში გამოკითხვაზე. მას იქ წასვლა არ უნდა და ყველაფერს უყვება დედას. დედის რჩევის მოსმენის შემდეგ მიმართავს კანონს.

სცენა 1. თედოსთან სახლში

თედოს დედა

თედო გატყობინებთ ამბავს და ელის თქვენგან რჩევას.

სცენა 1. თედოსთან სახლში

კანონი

თქვენ აცნობთ კანონს თედოს და დედამისს. გამოკითხვა ნებაყოფლობითია და დაუშვებელია არასრულწლოვანის იძულება, გასცეს რაიმე სახის ინფორმაცია. თუ ბავშვი თანხმობას განაცხადებს გამოკითხვაზე, ის ვალდებულია მხოლოდ სწორი ინფორმაცია გასცეს. ურჩიეთ თედოს, როგორ მოიქცეს. თუ თედო მნიშვნელოვანი მოწმეა, გამოძიების დაწყების შემდეგ ის შეიძლება დაიბარონ სასამართლოში და დაკითხონ. დაკითხვაზე მისვლა სავალდებულოა, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით. არასრულწლოვანს აქვს უფლება:

- არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ოჯახის წევრის წინააღმდეგ;
- ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით და მოწმედ დაკითხვა წარიმართოს კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის თანდასწრებით;
- საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ფსიქოლოგის მომსახურებით.

სცენა 2. გამოკითხვა პროკურატურაში

მონაწილეობენ თედო, დედა, ადვოკატი და გამომძიებელი.

სცენა 2. გამოკითხვა პროკურატურაში

გამომძიებელი

გამომძიებელს ეჭვი აქვს, რომ ბავშვებმა ერთად ჩაიდინეს ქურდობა. თუმცა, დაკარგული ჩოგანი ვერსად იპოვნეს, გამომძიებელს ჰგონია, რომ თედო გამყიდველის ყურადღებას იპყრობდა, როცა ანის ჩოგანი მიჰქონდა. გამომძიებელს მიჰყავს თედოს გამოკითხვა. დაუსვით კითხვები თედოს.

სცენა 2. გამოკითხვა პროკურატურაში

თედო

ხარ გამოკითხვაზე, გამოკითხვაზე, გახლავს დედა და ადვოკატი და პასუხობ გამომძიებლის შეკითხვებზე.

სცენა 2. გამოკითხვა პროკურატურაში

ადვოკატი

ადვოკატმა იცის, რომ არასრულწლოვანს აქვს უფლება:

- არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ოჯახის წევრის წინააღმდეგ;
- ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით და გამოკითხვა წარიმართოს კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის თანდასწრებით;

- საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ფსიქოლოგის მომსახურებით.

აგრეთვე, მან იცის, რომ გამოძიებას უნდა ახორციელებდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი.

ადვოკატი იცავს თედოს უფლებებს, თუ ხედავს, რომ არის მისი უფლებების დარღვევის მცდელობა გამომძიებლის მხრიდან.

სცენა 3. ანის გამოკითხვა გამომძიებელთან.

მონაწილეობენ ანი, გამომძიებელი, ...

სცენა 3. ანის გამოკითხვა გამომძიებელთან.

ანი

შენ იცი, რომ ჩოგანი არ მოგიპარავს. იფიქრე საკუთარ უფლებებზე. თუ თვლი, რომ შეგიძლია რაიმე მოითხოვო, მოითხოვე. უპასუხე, როგორც მიგაჩნია საჭიროდ. თუ არ ჩაგიდენია დანაშაული, რომელშიც ბრალი გედება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღიარო შიშის, უსამართლობის მოლოდინის, მუქარის, იძულების ან ზეწოლის გამო. თუ გრძნობ, რომ შენზე ხორციელდება ზეწოლა ნებისმიერი პირის მხრიდან, აღიარო დანაშაული, რომელიც არ ჩაგიდენია, ამის შესახებ უნდა მოუყვე მშობელს ან მეურვეს, ასევე, ადვოკატს, მოსამართლეს.

სცენა 3. ანის გამოკითხვა გამომძიებელთან.

გამომძიებელი

უსვამს ანის კითხვებს, რომლებიც მიაჩნია საჭიროდ. გამომძიებელს ჰგონია, რომ ანი დამნაშავეა და თედო მასთან შეთანხმებით მოქმედებდა.

სცენა 3. ანის გამოკითხვა გამომძიებელთან.

ადვოკატი

ადვოკატი სცენაში ერთვება იმ შემთხვევაში, თუ ანიმ ან მისმა მშობელმა მოითხოვა ადვოკატის დასწრება.

ადვოკატი იცავს ანის უფლებებს, თუ ხედავს, რომ არის მისი უფლებების დარღვევის მცდელობა გამომძიებლის მხრიდან, თუ გამომძიებელი არ აცნობს ანის ვითარებას და ცდილობს მის დაბნევას.

შემაჯამებელი დავალება

ქვემოთ მოყვანილია შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეა შერჩეულ იქნეს მოსწავლეებთან ერთად. ბავშვებმა უნდა დაინახონ პრობლემა მათ გარშემო და ამის მიხედვით შეარჩიონ პროექტის თემა. აუცილებელი არ არის საპროექტო თემის სათაური იმეორებდეს ჩამონათვალში მოცემულ სათაურს. შესაძლებელია, რომ პროექტის თემა უფრო კონკრეტული იყოს. მაგალითად, პროექტი – თემის წევრების ნაცვლად იყოს მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა და პოლიციის ურთიერთობის შესახებ.

შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი:

1. პროექტი – თანატოლებში ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა და პოლიციის ურთიერთობის შესახებ;

2. პროექტი – თემის წევრების ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა და პოლიციის ურთიერთობის შესახებ.

საკითხავი მასალა თემაზე „ბავშვთა უფლებები პოლიციასთან ურთიერთობისას“

3.1 პრევენციული ღონისძიებები

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პოლიციას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიება: პირის გამოკითხვა, პირის იდენტიფიცირება, პირის მოწვევა, ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური საპოლიციო კონტროლი, ადგილის დატოვების მოთხოვნა და სხვა.

3.1.1. პირის გამოკითხვა

საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პოლიციელმა შესაძლებელია გამოკითხოს ბავშვი და დაადგინოს მისი ვინაობა. პოლიციამ შესაძლებელია გამოკითხოს ბავშვი მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ამისთვის საკმარისი საფუძველი.

მაგალითად, პირის გამოკითხვის საფუძველი შეიძლება იყოს ის, რომ მას აქვს ძებნილი პირის იდენტური გარეგნული ნიშნები, არსებობს საფუძველი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული ან აპირებს მის ჩადენას.

გამოკითხვის დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- მიიღოს ინფორმაცია, რას ემსახურება მისი გამოკითხვა;
- უარი თქვას გამოკითხვაში მონაწილეობაზე;

- თუ გარეგნულად შეუძლებელია პოლიციელის იდენტიფიცირება, მოსთხოვოს დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

გამოკითხვის დროს პოლიციას აქვს მხოლოდ შემდეგი უფლებამოსილება:

- შეაჩეროს არასრულწლოვანი;
- გამოკითხოს მხოლოდ საიდენტიფიკაციო პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, მისამართი);
- მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდენა.

შენიშვნა: თუ არასრულწლოვანი არის 14 წლამდე, მისი გამოკითხვა შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით.

3.1.2. პირის იდენტიფიცირება

თუ არსებობს არასრულწლოვანის გამოკითხვის საფუძვლები და მისი ვინაობის დადგენა შეუძლებელია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პოლიციას უფლება აქვს მოახდინოს მისი იდენტიფიცირება.

იდენტიფიცირება შეილება განხორციელდეს შემდეგი მოქმედებებით:

- თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება;
- ფოტოსურათის გადაღება;
- დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნების დაფიქსირება;
- სიმაღლის გაზომვა;
- ხმის ჩაწერა;
- სხვა ბიომეტრიული მონაცემების დაფიქსირება.

ბიომეტრიული მონაცემები არის ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის ისეთი მახასიათებელი, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ პირს უკავშირდება. მაგალითად, სახის მახასიათებელი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერის გარსი, თვალის ბადურის გამოსახულება და სხვა.

იდენტიფიცირების დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- პოლიციელისგან მიიღოს გონივრული ვადა, რომ თავად, ნებაყოფლობით დაადასტუროს საკუთარი ვინაობა;

- უარი თქვას იდენტიფიცირების ღონისძიებების შესახებ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ ინფორმაციას, ასევე, უფლება აქვს ოქმში შეიტანოს შენიშვნა.

3.1.3. პირის მოწვევა

პოლიციელს უფლება აქვს, გასაუბრების მიზნით, შეტყობინებით მოიწვიოს არასრულწლოვანი პოლიციაში, თუ მას აქვს საჭირო ინფორმაცია, რომელიც პოლიციას თავისი ფუნქციის შესრულებაში ან სხვა პირის იდენტიფიცირების განსახორციელებლად დაეხმარება. არასრულწლოვანის მოწვევა შეიძლება მხოლოდ მშობელთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.

მოწვევის დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- მიიღოს ინფორმაცია მოწვევის საფუძვლის შესახებ;
- განემარტოს, რომ პოლიციაში გამოცხადება და პოლიციის დატოვება ნებაყოფლობითია;
- პოლიციაში გაჩერდეს მაქსიმუმ 2 საათით;
- უარი თქვას გასაუბრების შესახებ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ ინფორმაციას.

3.1.4. ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება

პირის ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება გულისხმობს მისი ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე, ხელით, სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით შეხებას.

ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერების დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შემოწმება და დათვალიერება განახორციელოს იმავე სქესის პოლიციელმა;
- მიიღოს ინფორმაცია, თუ როგორ და სად გაასაჩივროს ჩატარებული პროცედურები; უარი თქვას ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერების შესახებ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ ინფორმაციას;

ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერების მიზნით, ბავშვის შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

3.2. ადმინისტრაციული დაკავება

ადმინისტრაციული დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა, რომლის მიზანიც შეიძლება იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, პიროვნების დადგენა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა.

მაგალითად, ადმინისტრაციული დაკავება შეიძლება განხორციელდეს: ა) არასრულწლოვანის მიერ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის და ბ) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

ადმინისტრაციული დაკავება არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.

წვრილმანი ხულიგნობა გულისხმობს მოქალაქეთა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გინებას, მოქალაქეების შეურაცხყოფას, რაც არღვევს საზოგადოების წესრიგს.

მასწავლებელი აკეთებს მოკლე განმარტებას ადმინისტრაციული დაკავების შესახებ და აძლევს მოსწავლეებს ინდივიდუალურ დავალებას. დავალების მიზანია მოსწავლეებმა, ბავშვთა უფლებებიდან და განხილული მასალიდან გამომდინარე, მოიფიქრონ რისი უფლება შეიძლება ჰქონდეს დაკავებულს.

გაკვეთილი 4

დანაშაული და საგამოძიებო მოქმედებები

არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვან პირებს მომხდარი სამართალდარღვევის გამო უწევთ ურთიერთობა საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ პირებთან, პროკურატურასთან, სასამართლოსთან, არასრულწლოვანი შეიძლება ფიგურირებდეს როგორც მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის უფლებები შეიძლება დაარღვიოს ნებისმიერმა პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს შეხება ბავშვთან. ამიტომ მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანმა იცოდეს თავისი უფლებები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას და შეძლოს მათი დაცვა.

მიზანი

მოსწავლეების მიერ საგამოძიებო ქმედებების პირობებში არსებული უფლებების გააზრება.

მოსწავლეებს შინ მიცემული ჰქონდათ შემდეგი სიტუაცია (დავალება 4.1).

სპორტულ მაღაზიაში

თედო სპორტულ მაღაზიაში შევიდა ჩაფხუტის საყიდლად. მის კვალდაკვალ მაღაზიაში შემოვიდა ანი. ანი თედოს ნაცნობი იყო, თუმცა არ მისალმებია, რადგან დილით უკვე ნანახი ჰყავდა. ვიდრე თედო ჩაფხუტს ირჩევდა და გამყიდველს ესაუბრებოდა, დაინახა, რომ ანი ჩოგანს ათვალიერებდა. ანი მაღაზიიდან გავიდა. თედო კიდევ ეცადა ჩაფხუტის მორგებას, მაგრამ ვერ მოირგო. მაღაზიიდან გასვლისას შეამჩნია, რომ ჩოგანი თაროზე აღარ იყო.

მოსწავლეებს დარიგებული ჰქონდათ როლები ისე, რომ არც ერთმანეთის როლი იცოდნენ და არც სიტუაციის ფინალი. მათ უნდა მოემზადებინათ საკუთარი როლი. დავალების მიზანია მოსწავლეები დაფიქრდნენ ისეთ სიტუაციებზე, სადაც მათ შეიძლება მოუწიოთ პოლიციასთან ურთიერთობა მათ (ან სხვის) მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, გაარკვიონ საკუთარი უფლებები.

როლები და განსახილველი სიტუაციები. როლები განაწილებულია:

თედო, ანი, თედოს დედა, კანონი (კანონს ერთ-ერთი მოსწავლე წარმოადგენს), პოლიციელი, გამომძიებელი, ადვოკატი, პროკურორი, ანის დედა.

ამ სამი სცენის გათამაშების მიზანია მოსწავლეები გაეცნონ საკუთარ უფლებებს გამოკითხვისა და დაკითხვის პროცედურებში მონაწილეობისას. არ აქვს მნიშვნელობა, დამნაშავეა თუ არა არასრულწლოვანი. მისი უფლებები ყოველთვის დაცული უნდა იყოს. თითოეული სცენის გათამაშების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი ნანახის შესახებ. ხოლო მასწავლებელი სთხოვს მათ, გაეცნონ მოსწავლის წიგნში ?? გვერდზე მოცემულ ინფორმაციას.

განხილვის შემდეგ მასწავლებელი ამბობს, რომ ანის დაკავებიდან 30 საათის შემდეგ, სასპორტო მაღაზიის წარმომადგენლებმა შეატყობინეს პროკურორს, რომ ჩოგანი ნაპოვნია და მოხდა გაუგებრობა.

კლასში შესასრულებლად მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალება 4.2.-ს (შესრულებისთვის 5 წთ.).

მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ტექსტი „დანაშაული თუ შეცდომა“ და გამოთქვან ვარაუდი იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ამ დავალების მიზანია განრიდების შესაძლებლობის სწავლება.

მოსწავლეთა ვარაუდების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ამბის გაგრძელებას.

„დანაშაული თუ შეცდომა“ (გაგრძელება)

პოლიციის განყოფილებაში ბიჭების გამოკითხვას მშობლებიც ესწრებოდნენ, რომლებსაც ვერ წარმოედგინათ, რომ მათ შვილებს ასეთი რამის ჩადენა შეეძლოთ. შვილების საქციელმა მათ თავზარი დასცა. განსაკუთრებით განრისხდა ნიკას მამა, რომელმაც განაცხადა, რომ შვილის სახელის გაგონებაც არ სურდა. მას შემდეგ რაც პროკურორი გაესაუბრა ბიჭებს და მათ მშობლებს, მიიღო გადაწყვეტილება კოტე და ნიკა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო. საქმეში ჩაერთვნენ სოციალური მუშაკი, რომელიც აკეთებდა არასრულწლოვნის შეფასებას და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მედიატორი, რომელიც უზრუნველყოფდა დაზარალებულებისა და არასრულწლოვნის შეხვედრას და მათ შორის მოახდენდა ზარალის ანაზღაურების შესახებ პირობების შეთანხმებას. მედიატორი დაუკავშირდა და შეხვდა დაზარალებული მაღაზიების წარმომადგენლებს. მათგან დახვდა ნეგატიური დამოკიდებულება არასრულწლოვანთა და მათი ოჯახების მიმართ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ასეთ ასაკში დანაშაულის ჩამდენი გზასაცდენილი და უპასუხისმგებლო ადამიანი დადგებოდა. მედიატორმა დეტალურად აუხსნა მათ პროგრამის მიზნების შესახებ და ესაუბრა, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა მედიაციის საშუალებით. მათ გამოთქვეს თანხმობა ჩართულიყვნენ მედიაციის პროცესში და შეხვედროდნენ კოტესა და ნიკას.

იმ დროს, როცა მედიატორი დაზარალებულებთან აწარმოებდა პირველად შეხვედრებს და არკვევდა მათ საჭიროებებს, სოციალური მუშაკი ეწვია კოტეს და ნიკას ოჯახებს. მან შეისწავლა მოზარდების განწყობა-მდგომარეობა, ინტერესები და გამოარკვია, რომ მოზარდების პროგრამაში მონაწილეობა მიზანშეწონილია, ფაქტიურად არ არსებობდა საშიშროება რომ ისინი დანაშაულს განმეორებით ჩაიდენდნენ. მოზარდები განიცდიდნენ ჩადენილ დანაშაულს. გარკვეული პირობები იქნა შემუშავებული, რაც მოიცავდა როგორც დახმარებას, ასევე ვალდებულებებს, რისი შესრულებაც მოუწევდათ მოზარდებს.

მედიატორი მიხვდა, რომ ეს არ იყო მარტივი საქმე, ვინაიდან აგრესიულად განწყობილი დაზარალებულები და შვილთან წაჩხუბებული მამა მას სირთულეებს შეუქმნიდნენ. ის ცალ-ცალკე ხვდებოდა მხარეებს და ერთი და იმავე ოჯახის წევრებს. უხსნიდა, რომ თუ შეთანხმდებოდნენ, მოზარდებს მიეცემოდათ შანსი ნასამართლეობის გარეშე გაეგრძელებინათ ცხოვრება. მოზარდებს უხსნიდა, თუ რა პირობები უნდა შეესრულებინათ განრიდების პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მედიატორმა მოახერხა დაზარალებულების დათანხმება და ნიკას მამის დამშვიდება. შედგა შეხვედრა, რომელსაც მედიაციის კონფერენცია ეწოდება. მას ესწრებოდნენ ნიკა, კოტე, მათი მშობლები, ორივე მაღაზიის მენეჯერი და მედიატორი. ყველა ნერვიულობდა. მიუხედავად ამისა, კოტემ და ნიკამ ყველაფერი უამბეს შეკრებილებს და მოინანიეს დანაშაული. მშობლებმა გადასცეს მაღაზიების წარმომადგენლებს სასმელის საფასური. ნიკას მამა შეურიგდა შვილს. იმავე დღეს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას განრიდებისა და მედიაციის შესახებ. ნიკას და კოტეს დაევალათ ელექტრონული წიგნების შექმნა, გარკვეული ხნით ხანდაზმულთა თავშესაფარში მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულება და ტრენინგების გავლა ცხოვრებისეული ფასეულობების გამყარებაში.

ამის შემდეგ მასწავლებელი ხსნის, რომ განრიდების შანსი არასრულწლოვანს ეძლევა მხოლოდ ერთხელ, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არის მძიმე ან ნაკლებად მძიმე. ამასთანავე არასრულწლოვანმა არ უნდა აარიდოს თავი განრიდების პირობების შესრულებას.

დასასრულს მასწავლებელი სვამს კითხვას:

– თქვენი აზრით, განრიდების მექანიზმი ბავშვის რომელი ძირითადი უფლების დაცვას ემსახურება? პასუხი დაასაბუთეთ.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალებად გაეცნონ მოსწავლის სახელმძღვანელოდან შესაბამის მასალას.

მოსწავლეთა მიერ აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ კითხვის დასმის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია იხელმძღვანელოს საკითხავი მასალით (გვ. 50).

შემაჯამებელი დავალება

ქვემოთ მოყვანილია შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეა შერჩეულ იქნეს მოსწავლეებთან ერთად. ბავშვებმა უნდა დაინახონ პრობლემა მათ გარშემო და ამის მიხედვით შეარჩიონ პროექტის თემა. აუცილებელი არ არის საპროექტო თემის სათაური იმეორებდეს ჩამონათვალში მოცემულ სათაურს. შესაძლებელია, რომ პროექტის თემა უფრო კონკრეტული იყოს. მაგალითად, პროექტი – თემის წევრებისთვის განრიდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი:

1. პროექტი – სკოლის მოსწავლეთა მშობლებისთვის საგამოძიებო მოქმედებების წარმართვისას ბავშვის უფლებების გაცნობა;

2. პროექტი – სასკოლო საზოგადოებისთვის საგამოძიებო მოქმედებების წარმართვისას ბავშვის უფლებების გაცნობა.

3. პროექტი – თემის წევრებისთვის საგამოძიებო მოქმედებების წარმართვისას ბავშვის უფლებების გაცნობა.

საკითხავი მასალა მასწავლებლისთვის თემაზე „დანაშაული და საგამოძიებო მოქმედებები“

4.1 არასრულწლოვანის გამოკითხვა და მოწმედ დაკითხვა

არასრულწლოვანი შესაძლებელია ფლობდეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას. ასეთ დროს ბრალდებისა (პროკურორი, გამომძიებელი) და დაცვის მხარის (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მისი ადვოკატი) მიერ შესაძლებელია ნებაყოფლობით გამოიკითხოს არასრულწლოვანი. გამოკითხვა ნებაყოფლობითია და დაუშვებელია არასრულწლოვანის იძულება, გასცეს რაიმე სახის ინფორმაცია. თუ ბავშვი თანხმობას განაცხადებს გამოკითხვაზე, ის ვალდებულია მხოლოდ სწორი ინფორმაცია გასცეს.

არასრულწლოვანი შეიძლება მოწმედ დაიკითხოს გამოძიების ეტაპზე, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გამოკითხვისგან განსხვავებით, მოწმედ დაკითხვა სავალდებულოა. გამოძიების ეტაპზე მოწმედ დაკითხვა ხორციელდება მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე.

გამოკითხვისა და მოწმედ დაკითხვის დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და ოჯახის წევრის წინააღმდეგ;
- ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით და მოწმედ დაკითხვა წარიმართოს კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის თანდასწრებით;
- საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს ფსიქოლოგის მომსახურებით.

შენიშვნა: არასრულწლოვანის დაკითხვა აკრძალულია შემდეგ საათებში, 22:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე.

4.2. არასრულწლოვანის მიმართ ამოღებისა და ჩხრეკის წესები

ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება.

ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არასრულწლოვანის სხეულის შიგნით შემოწმებას ან მისი სხეულიდან ნივთის ამოღებას გულისხმობს, შეიძლება ჩატარდეს

მხოლოდ სასამართლოს ნებართვით/განჩინებით. ასეთ დროს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი არასრულწლოვანის სქესის უნდა იყოს. ბავშვს, შეიძლება, არ სურდეს კანონიერი წარმომადგენლის დასწრება აღნიშნულ პროცესზე, ასეთ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედებას ესწრება იმავე სქესის საპროცესო წარმომადგენელი.

კანონიერი წარმომადგენლის ფუნქცია გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია შეასრულოს საპროცესო წარმომადგენელმა. მაგალითად, თუ ფიზიკურად შეუძლებელია კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვანის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათში, თუ არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან თავად არ სურს მასთან დაკავშირება, არასრუწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია და სხვა. ასეთ შემთხვევებში პროკურორი, გამომძიებელი ან მოსამართლე მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც ნიშნავს ჯერ სანდო პირს თავად არასრულწლოვანის არჩევით ან საპროცესო წარმომადგენელს.

ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არასრულწლოვანის ნაწილობრივ ან მთლიანად გაშიშვლებას გულისხმობს, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. არასრულწლოვანს უფლება აქვს აღნიშნულ პროცესს ესწრებოდეს ასევე მისი ადვოკატი.

4.3. პროკურატურა

პროკურორი ხელმძღვანელობს დანაშაულის გამოძიებას ან უშუალოდ ატარებს მას. ის სასამართლოში წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმდებელს.

4.3.1. სისხლის სამართლებრივი დევნა

სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაკავებისთანავე ან თუ დაკავება არ მომხდარა, ბავშვის ბრალდებულად ცნობისთანავე. სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი.

4.3.2. ბრალდებულად ცნობა

გამოძიების ეტაპზე თუ შეგროვდა საკმარისი ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა დადასტურებულ ფაქტებს, რომ დანაშაული არასრულწლოვანმა ჩაიდინა, ეს მისი ბრალდებულად ცნობის საფუძველია. არასრულწლოვანის ბრალდებულად ცნობის შესახებ პროკურორის მიერ გამოიცემა დადგენილება, რომელსაც პროკურორი აცნობს ბრალდებულ არასრულწლოვანსა და მის ადვოკატს.

4.3.3. დაკავებული არასრულწლოვანის უფლებები

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

არასრულწლოვნის დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო პროკურორის მიმართვის შემდეგ. თუმცა, შესაძლებელია, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც დააკავონ არასრულწლოვანი, თუ:

- წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- ბავშვი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე;
- ბავშვზე ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბავშვი მიიმალა, მაგრამ შემდეგ თვითმხილველმა ამოიცნო;
- ბავშვი, შესაძლოა, მიიმალოს;
- ბავშვი ძებნილია.

დაკავების დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- დაუყოვნებლივ გააცნონ საკუთარი უფლებები;
- მოითხოვოს და დაუკავშირდეს ადვოკატს;
- დაკავების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს ან ახლობლებს;
- არ დაიბრალოს დანაშაული;
- თავი შეიკავოს კითხვებზე პასუხის გაცემისაგან, გამოიყენოს დუმილის უფლება;
- საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღოს სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. მისი ეს უფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ.
- საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
- დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსების შემთხვევაში სრულწლოვანებისგან განცალკევებით მოთავსდეს.

4.4 განრიდება

განრიდება არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

განრიდების დანიშნულებაა არასრულწლოვანს მისცეს შანსი, გარკვეული მოთხოვნების შესრულების სანაცვლოდ ცხოვრება გააგრძელოს ნასამართლეობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება. განრიდება მაქსიმალურად ითვალისწინებს არასრულწლოვანი დამნაშავისა და დაზარალებულის ინტერესებს. მისი მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

განრიდების პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ არასრულწლოვნებს 14-დან 18 წლამდე და ასევე 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს, თუ მათ ჩადენილი აქვთ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, რომელიც უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების შესახებ. ამ ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა 1 წელია.

არასრულწლოვანისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ ოქმს ხელს აწერენ პროკურორი და არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი.

პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვთ, განრიდების მოთხოვნით ზემდგომ პროკურორს მიმართონ.

სასამართლოს უფლება აქვს განრიდების მოთხოვნით საქმე დაუბრუნოს პროკურორს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით პროფესიონალებმა უპირველესად უნდა განიხილონ განრიდების გამოყენების შესაძლებლობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლში აღწერილია განრიდების გამოყენების წინაპირობები:
განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;

ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

არასრულწლოვანის უფლებები განრიდების პროცესში:

- განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს უნდა მოეწოდოთ დეტალური ინფორმაცია განრიდების არსის, გამოყენების წესის, ხანგრძლივობის, შესაძლო პირობებისა და განრიდების ღონისძიებების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ;

- არასრულწლოვანს ზეპირად და წერილობით განემარტება, რომ განრიდებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია და მას უფლება აქვს, ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას განრიდებაზე;

- განრიდების პროცესში არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის აღიარება და მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

განრიდების შესახებ ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს შემდეგი ღონისძიებები:

- არასრულწლოვანის წერილობითი გაფრთხილება;

- განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა;

- მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება;

- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა;

- დანაშაულის იარაღის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

- არასრულწლოვანისთვის მოვალეობის დაკისრება (მაგალითად, აეკრძალოს განსაზღვრული ადგილის ან/და პირის მონახულება, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა, სპეციალური აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა, სამუშაოს დაწყება და სხვა);

- არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება, თუ ის არის მზრუნველობამოკლებული ბავშვი.

განრიდების პროცესში დაუშვებელია არასრულწლოვანისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, ნორმალური სასწავლო პროცესისგან და ძირითადი სამუშაოსგან მის მოწყვეტას, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

მედიაცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.

მედიატორი არის სათანადო კვალიფიკაციის მქონე მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე. პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.

თუ არასრულწლოვანი განრიდების ღონისძიებებს განზრახ არ ასრულებს, ამის შესახებ სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს. პროკურორი არასრულწლოვანის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ან სოციალური მუშაკის მოსმენის შემდეგ აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის ხელშეკრულების პირობებს ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.

4.5. აღკვეთის ღონისძიებები

არასრულწლოვანის დაკავების შემდეგ 48 საათის განმავლობაში განიხილება, რომელი აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული მის მიმართ. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა არასრულწლოვანმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, არ მიიმალოს, არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებული იყოს მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა.

4.6. მეთვალყურეობაში გადაცემა

არასრუწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მეთვალყურეობაში გადაცემა გულისხმობს მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის ან მზრუნველის მიერ არასრულწლოვანის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებაზე წერილობით თანხმობის გამოხატვას.

არასრულწლოვნის მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანისა და იმ პირის თანხმობით, რომელსაც ის მეთვალყურეობაში გადაეცემა.

4.7. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოიყენება მის მიერ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მაგალითად, არასრულწლოვანს აეკრძალება თავისი საცხოვრებელი ქალაქიდან გასვლა.

დანაშაულები იყოფა ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად იმის მიხედვით, სასჯელის სახით რამდენი წელია გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა.

არასრულწლოვანი გაუფრთხილებლობით ჩადის დანაშაულს, თუ ითვალისწინებდა მის მიერ ჩადენილი ქმედების უკანონობას, თუმცა, იმედოვნებდა, რომ უარყოფით შედეგს თავიდან აიცილებდა ან არ ჰქონდა გაცნობიერებული მის მიერ ჩადენილი ქმედების უკანონობა.

4.8. პირადი თავდებობა

პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას. თავდებთა რიცხვს განსაზღვრავს ორგანო, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს. გამონაკლის შემთხვევაში, თავდები შეიძლება იყოს ერთი განსაკუთრებით სანდო პირი. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდებთა შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით. თავდებს უნდა გააცნონ იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც არჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება, ასევე სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს და პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება თავდებს, თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც იქნა გამოყენებული თავდებობა. გარდა ამისა, თითოეული თავდები იძლევა ხელწერილს თავდებობის შესახებ, რომლებიც თან დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. თავდებს შეუძლია უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომელსაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლება არა აქვს თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოების) მოქმედებას. თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც იქნა გამოყენებული თავდებობა, თითოეულ თავდებს სასამართლომ შეიძლება დააკისროს ფულადი სახდელი შრომის მინიმალური ანაზღაურების ასმაგი ოდენობით.

4.9. გირაო

გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და მისი ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა შეიძლება ნებისმიერი ოდენობით განისაზღვროს.

4.10. პატიმრობა

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება ერთად:

- სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

- პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

- მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

პროცედურულად აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, შეიძლება არასრულწლოვანი გაამართლონ და გამოიტანონ გამამართლებელი განაჩენი ან დადასტურდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა, გამოტანილი იყოს გამამტყუნებელი განაჩენი და შეეფარდოს სასჯელი. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პერიოდში არასრულწლოვანი ითვლება ბრალდებულად.

გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს ბრალდებული არასრულწლოვანისათვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას.

გამამტყუნებელი განაჩენის დროს, არასრულწლოვანს შეეფარდება სასჯელი, რომლის მიზანი არის არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის სახით შეიძლება გამოყენებული იყოს რომელიმე შემდეგი სახე:

- ჯარიმა – შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.

- შინაპატიმრობა – ნიშნავს არასრულწლოვანისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას, რომელიც შეიძლება დაენიშნოს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ამასთან, აღნიშნული სასჯელის სახე ისე უნდა დაენიშნოს, რომ ხელი არ შეეშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. შინაპატიმრობის დროს შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული ზედამხედველობა.

- საქმიანობის უფლების ჩამორთმევა – ენიშნება 1-დან 3 წლამდე ვადით.

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – ინიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. ამასთან, აღნიშნული სასჯელის სახე ისე უნდა დაენიშნოს, რომ ხელი არ შეეშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

- თავისუფლების შეზღუდვა – მაქსიმალური ვადა არის 3 წელი.

- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან წარსულში უკვე იყო მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი.

არსებობს ძირითადი და დამატებითი სასჯელები. ძირითადი სასჯელებია: თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. თუ არასრულწლოვანს შეეფარდა რომელიმე ძირითადი სასჯელი, შესაძლებელია მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის გამოყენება, კერძოდ, ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამასთან, ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელი.

შენიშვნა: თუ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩადინა, სასამართლო უფლებამოსილია მას დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაუთვალოს.

არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე ითვალისწინებს:

- არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს;

- ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს;

- დაუშვებელია არასრულწლოვანისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც დიდი ალბათობით, არ შესრულდება ან რომლის შესრულება არასრულწლოვანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება.

5 გაკვეთილი

მიმართვის უფლება ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს



მიზანი

მოსწავლეებისთვის მიმართვის უფლების შესაძლებლობების გაცნობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

რამდენიმე გაკვეთილის წინ მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას იმ ორგანოების შესახებ, რომლებსაც ევალებათ ბავშვებზე ძალადობისგან მათი დაცვა.

ბავშვთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია სასამართლო, რომელსაც ბავშვმა შეიძლება მიმართოს მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საშუალებით, ხოლო 14 წლიდან შეუძლია დამოუკიდებლადაც მიმართოს. შესაძლებელია, აგრეთვე, მიმართვა სახალხო დამცველისთვის.

ფაზა A – პროვოცირება

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ისინი გაეცნენ ინფორმაციას იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც ევალებათ ბავშვების დაცვა ძალადობისგან და სთხოვს მათ ჩამოთვლას. შემდეგ ეუბნება, რომ არის შემთხვევები, როცა ამ ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები არაეფექტურია. ბავშვს აქვს უფლება მიმართოს სახალხო დამცველს ან სასამართლოს.

ფაზა B – წვდომა

ეროვნულ დონეზე მიმართვიანობის წესის გასაცნობად მოსწავლეებს ეძლევათ დავალება 5.1 ჯგუფებში შესასრულებლად (შესრულებისთვის 10 წთ.).

მოზაიკის მეთოდით ხდება გარკვეული ინფორმაციის შესწავლა. თითოეული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა მოახდინოს დაშვებული უზუსტობების და შეცდომების კორექცია. ნამუშევრების პრეზენტაცია გაამთლიანებს მიღებულ ინფორმაციას.

შემდეგ მასწავლებელი ატარებს მინი ლექციას კომიტეტისთვის მიმართვიანობის უფლების შესახებ. (გვ?)

მოსწავლეები ასრულებენ დავალება 5.2 -ს და განიხილავენ მას.

დავალება 5.2

ვისი საქმე იქნება მიღებული კომიტეტის მიერ განსახილველად?

ა) თამარი თვლის, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ მისი უფლებები არ დარღვეულა, უსამართლოა. მან გადაწყვიტა მიმართოს კომიტეტს. (არა)

ბ) 2014 წლის იანვარში უზენაესმა სასმართლომ არ სცნო გიორგი უფლებათა დარღვევის

მსხვერპლად. გიორგის მშობლებმა გადაწყვიტეს კომიტეტში სარჩელის შეტანა 2014 წლის აგვისტოში. (არა)

გ) 2017 წლის აპრილში, უზენაესმა სასამართლომ არ ჩათვალა საკმარისად წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ ჩათვალა უფლებათა დარღვევის მსხვერპლად სამი არასრულწლოვანთა ჯგუფი. მათ შეიტანეს სარჩელი კომიტეტში 2017 წლის ივნისში. (დიახ)

ე) მას შემდეგ, რაც ყველა შიდა საშუალება ამოიწურა, 2016 წლის აგვისტოში კომიტეტში გაგზავნილი იქნა სარჩელი. (არა)

ფაზა C – რეფლექსია

მასწავლებელი აძლევს შესასრულებლად დავალება 5.3-ს (შესრულებისთვის 8-10 წთ.).

შემაჯამებელი დავალება

ქვემოთ მოყვანილია შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო იდეა შერჩეულ იქნეს მოსწავლეებთან ერთად. ბავშვებმა უნდა დაინახონ პრობლემა მათ გარშემო და ამის მიხედვით შეარჩიონ პროექტის თემა. აუცილებელი არ არის საპროექტო თემის სათაური იმეორებდეს ჩამონათვალში მოცემულ სათაურს. შესაძლებელია, რომ პროექტის თემა უფრო კონკრეტული იყოს. მაგალითად, პროექტი – „სკოლის მოსწავლეთა მშობლებისთვის ეროვნულ დონეზე მიმართვის უფლების გაცნობა ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს“.

შესაძლო შემაჯამებელ დავალებათა ჩამონათვალი:

1. პროექტი – „სკოლის მოსწავლეთა მშობლებისთვის მიმართვის უფლების გაცნობა ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს“.

2. პროექტი – „თემის წევრებისთვის მიმართვის უფლების გაცნობა ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს“.

3. პროექტი – თანატოლებში ცნობიერების ამაღლება მიმართვის უფლების გაცნობის შესახებ“

საკითხავი მასალა თემაზე „მიმართვის უფლება ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს“

2011 წლის 19 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ. ის ძალაში შევიდა 2014 წლის 14 აპრილს.

ოქმში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა მიმართოს კომიტეტს ბავშვმა პირადად და მისმა დამცველმა ბავშვის უფლებათა დაცვის მიზნით. კონვენციის დამატებითი ოქმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს აღნიშნული დამატებითი ოქმი. საქართველომ მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2016 წლის დეკემბერში, რაც ნიშნავს იმას, რომ ოქმი იურიდიული ძალის მქონეა და ოქმით გათვალისწინებული მიმართვიანობის/გასაჩივრების მექანიზმი შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა/მყოფმა ნებისმიერმა ბავშვმა. დამატებითი ოქმის გამოყენებით, ბავშვს უფლება აქვს მიმართოს კომიტეტს, მისი უფლებების დარღვევის საფუძველზე, რა დროსაც მოპასუხე მხარე იქნება საქართველოს სახელმწიფო. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ რომ კომიტეტს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ დარღვევებზე სარჩელი, რომელიც ჩადენილია მესამე დამატებითი ოქმის მიღების შემდეგ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა დარღვევა განგრძობადია.

კომიტეტი არის 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ამოწმებს სახელმწიფოებსა და მთავრობებს, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ისინი ბავშვის უფლებათა კონვენციით განსაზღვრული უფლებების დაცვას. ეცნობიან სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს. მესამე დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა არასრულწლოვანმა (ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა) მიმართოს კომიტეტს სარჩელით /განცხადებით უფლებათა დარღვევის შესახებ. კომიტეტმა შეიმუშავა გარკვეული წესები მიმართვიანობასთან დაკავშირებით.

- სარჩელი კომიტეტში შესაძლოა წარადგინოს კერძო პირმა ან პირთა ჯგუფმა, რომლებიც თვლიან, რომ არიან ბავშვის უფლებათა კონვენციის ან/და დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებების დარღვევის მსხვერპლები.

- სარჩელი უნდა იყოს შესრულებული წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი მოსარჩელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

- ყველა შიდა საშუალება (სახალხო დამცველისთვის მიმართვა, სასამართლოს ყველა ინსტანციისთვის მიმართვა) უნდა იყოს ამოწურული;

- შიდა საშუალებების ამოწურვიდან არ უნდა იყოს გასული ერთ წელიწადზე მეტი;

- კომიტეტი არ განიხილავს განმეორებით მიმართვას;

- კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია;

– საჩივარი/განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კომიტეტის სამდივნოში შემდეგ მისამართზე:

ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC)

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების განყოფილება (HRTD)

ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)

UNOG-OHCHR

CH-1211 Geneva 10 (Switzerland)

TEL.: +41 22 917 91 41

FAX: +41 22 917 90 08

E-MAIL: crc@ohchr.org

კომიტეტის გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო. ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა.

თუ კომიტეტმა დაადასტურა უფლებათა დარღვევის ფაქტი, გადაწყვეტილებაში ის განუმარტავს სახელმწიფოს უფლებათა შინაარსს და აზუსტებს მის ვალდებულებებს. ამ გადაწყვეტილების აღსრულება კი სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს. მე-3 დამატებითი ოქმის თანახმად კომიტეტი აკვირდება გადაწყვეტილების აღსრულებას სახელმწიფოში.